www.opennet.ge

წლიური ანგარიში 2020

ა(ა)იპ ოუფენ ნეტი

ოუფენ ნეტი
OPEN NET

სარჩევი

გვ.03
მარიამ სულაბერიძე

ოუფენ ნეტის დირექტორი

გვ.05
ღონისძიებები

2020 წელს განხორციელებული ღონისძიებები

გვ.07
პროექტი LOG IN GEOEGIA

2020-2021 წლები

გვ.09
საპილოტე პროექტი ოზურგეთში

საინფორმაციო შეხვედრები და ინფრასტრუქტურის მშენებლობა

გვ.12
ციფრული თანასწორობა

თანაბარი შესაძლებლობები ქალაქისა და სოფლისთვის

გვ.14
ღირებულებები

ადგილობრივების ჩართულობით შექმნილი მომავლის პროექტი

გვ.15
ინტერნეტის როლი თანამედროვე განათლებაში

ინტერნეტი, როგორც ცოდნის გავრცელების თანამედროვე საშუალება

გვ.16
ვიდეოგალერეა

მარიამ სულაბერიძე

ოუფენ ნეტის დირექტორი

დიდი ხანია ინტერნეტთან წვდომის უფლებას მსოფლიო განიხილავს არამხოლოდ ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების, არამედ ადამიანის უფლებებისა და ღირებულებების ერთ-ერთ განუყოფელ ნაწილად.

„ინტერნეტთან წვდომის გარეშე იზოლირებული ჯგუფები და განვითარებადი ქვეყნები რჩებიან არასახარბიელო მდგომარეობის ხაფანგში, და შესაბამისად, გადაუწყვეტელი რჩება უთანასწორობა როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ქვეყნებს შორის“, - გაეროს სპეციალური მომხსენებლის, ფრენკ ლა-რიუს ეს სიტყვები და გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭოს მიმართ მისი მოხსენება, იმთავითვე იქცა ერთგვარ მოწოდებად, რომ მთავრობებს ემოქმედათ ინტერნეტთან საყოველთაო წვდომის უზრუნველსაყოფად.

ამ კუთხით, უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში, არაერთმა ქვეყანამ (ლიეტუვამ, ესტონეთმა, საბერძნეთმა, ესპანეთმა, ფინეთმა) და მათ შორის საქართველომ გადადგა მნიშვნელოვანი ნაბიჯები. აღსანიშნავია, რომ ინტერნეტზე წვდომისა და ინტერნეტით თავისუფლად სარგებლობის უფლება ქართველი ხალხისთვის კონსტიტუციურ უფლებად იქცა.

საქართველოს ციფრული ეკონომიკისა და საინფორმაციო საზოგადოების განვითარების ხელშეწყობის მიზნით, სექტორში განხორციელებულმა თუ მიმდინარე რეფორმებმა და პროექტებმა, ხელი შეუწყო თანამედროვე სერვისების დანერგვას და გაზარდა მათი მოხმარების დონე.

ამ ეტაპზე, ჩვენ ვასრულებთ საყოველთაო ინტერნეტიზაციის სახელმწიფო პროგრამის საპილოტე ქსელის მშენებლობას, რომელიც მოიცავს გურიის რეგიონს და რომლის ფარგლებში შენდება 140 კმ ფართოზოლოვანი ინფრასტრუქტურა. შედეგად, გურიის რეგიონის 28 ათასზე მეტ მოსახლეს ეძლევა შესაძლებლობა ისარგებლოს ელექტრონული

ჯანდაცვით, ელექტრონული განათლებით, ელექტრონული კომერციით და სხვა თანამედროვე სერვისებით. პროექტის განხორციელებით იქმნება შესაძლებლობა - თითოეულმა ოჯახმა მიიღოს 100 მბ/წმ, ხოლო დაწესებულებებმა - 1გბ/წმ სიჩქარის ინტერნეტი. ამავდროულად, შემუშავებული მოდელით ოპერატორებს მიეცემათ შესაძლებლობა განავითარონ საკუთარი ქსელები, - აშენებული ფართოზოლოვანი ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ნებისმიერი ოპერატორისთვის თავისუფალი, შეუზღუდავი და არადისკრიმინაციული პირობებით ღია დაშვების მომსახურების მიწოდებას.

საყოველთაო ინტერნეტიზაციის პროგრამას, სახელმწიფოსა და საერთაშორისო პარტნიორებისგან აქვს სრული მხარდაჭერა.

მსოფლიო ბანკმა, საქართველოს ფართოზოლოვანი ქსელების განვითარების 2020-2025 წლების ეროვნული სტრატეგიისა და მისი განხორციელების სამოქმედო გეგმის მხარდაჭერის მიზნით, საქართველოს მთავრობასთან თანამშრომლობით, შეიმუშავა პროექტი “Log in Georgia”, რომელიც უზრუნველყოფს რეგიონებში ფართოზოლოვან მომსახურებებთან ხელმისაწვდომობას. პროექტი ხორციელდება „ოუფენ ნეტის“ მიერ კომუნიკაციების კომისიის ჩართულობით და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ზედამხედველობით.

2020 წელი გამოწვევებით სავსე იყო მთელი მსოფლიოსთვის, - ყველა სფეროსთვის, - თითოეული ჩვენგანისთვის. მინდა დიდი მადლობა გადავუხადო “ოუფენ ნეტის” გუნდს, - მადლობა გადავუხადო სახელმწიფო პროგრამაში ჩართულ ყველა მხარეს, ვინაიდან პანდემიის მიუხედავად, საპილოტე პროექტი წარმატებით განხორციელდა. მოხარული ვარ, რომ მათთან ერთად ვქმნით გარემოს, სადაც ყველას შეუძლია შექმნას, დაუკავშირდეს, გამოიყენოს და გაავრცელოს ინფორმაცია.

ოუფენ ნეტის მიერ 2020 წელს განხორციელებული ღონისძიებები

ტექნიკური დოკუმენტაცია და დადგენილება №375

კომუნიკაციების კომისიის, ეკონომიკის სამინისტროსა და მსოფლიო ბანკის წარმომადგენლებთან ერთად, მიმდინარეობდა მუშაობა მთავრობის № 375 დადგენილების განახლებასა და კონცეპტუალური დიზაინის (HLD) კონსულტანტის ტექნიკური დავალების შინაარსზე. ასევე, შემუშავდა კომუნიკაციების კომისიის მიერ მოწოდებული დასახლებული პუნქტების მიხედვით, სარეკომენდაციო ტოპოლოგია, ოპტიკური მაგისტრალის სიგრძე რეგიონების მიხედვით, მოსახლეობისა და შინამეურნეობების რაოდენობა, პასიური და აქტიური ინფრასტრუქტურის მშენებლობის სავარაუდო ღირებულება და ა.შ.
მომზადდა შესყიდვებისთვის საჭირო დოკუმენტაციის სრული პაკეტი

- დადგენილების განახლება
- HLD კონსულტანტი
- მაგისტრალის სიგრძე
- შინამეურნეობების რაოდენობა
- სავარაუდო ღირებულება
- შესყიდვების დოკუმენტაცია

საინფორმაციო შეხვედრები ოპერატორებთან

სატელეკომუნიკაციო სექტორში არსებული ბიზნესგარემოსა და კონკურენციის გაუმჯობესების მიზნით, საქართველოს მცირე და საშუალო სატელეკომუნიკაციო ოპერატორების ასოციაციის წარმომადგენლებთან ერთად, ჩატარდა შეხვედრები და პრეზენტაციები საყოველთაო ინტერნეტიზაციის სახელმწიფო პროგრამის საპილოტე პროექტის შესახებ. შეხვედრებზე განხილული იქნა სფეროში არსებული გამოწვევები და სამომავლო გეგმები.

2021-2025

- ინფრასტრუქტურის მშენებლობა
- ციფრული განვითარებისთვის გარემოს გაუმჯობესება

- 1000-მდე დასახლებული პუნქტი
- 5000 კმ ინფრასტრუქტურა
- 500 000-მდე მოსახლე

პროექტი
Log In Georgia

პროექტ “Log in Georgia”-ს მიზანია ხელი შეუწყოს ფართოზოლოვანი სერვისების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებას პოლიტიკისა და მარეგულირებელი რეფორმების საშუალებით, რათა რეგიონებში წარმოდგენილმა ინტერნეტპროვაიდერებმა დაბალ ფასად შეძლონ კონკურენტული მაღალხარისხიანი ინტერნეტსერვისების მიწოდება. ამავე დროს, სამიზნე დასახლებულ პუნქტებში სპეციალური ღონისძიებები განხორციელდება ქალების, ეთნიკური და სოციალური უმცირესობებისა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების მიერ ინტერნეტითა და ციფრული სერვისებით სარგებლობის ხელშესაწყობად.

ქსელის მშენებლობა მოიცავს 5-წლიან პერიოდს (2021-2025). პროექტი ხორციელდება „ოუფენ ნეტის“ მიერ კომუნიკაციების კომისიის მხარდაჭერითა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ზედამხედველობით.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

WORLD BANK GROUP

კომუნიკაციების კომისია

Log In Georgia

გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხები

პროექტ “Log in Georgia”-ს განხორციელების მიზნით, 2020 წელს მომზადდა და გამოქვეყნდა გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხების ჩარჩოდოკუმენტები და მოეწყო მათი საჯარო განხილვა.

სასესხო შეთანხმება

საქართველოსა და რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკს (მსოფლიო ბანკი) შორის ხელი მოეწერა სასესხო შეთანხმებას პროექტ “Log in Georgia”-ს დაფინანსების შესახებ, რის შემდეგაც მოხდა ამ პროექტისა და მისი შეთანხმების პარლამენტში რატიფიცირება

უფლებამოსილების შეთანხმება

ფინანსთა სამინისტროსთან, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და კომუნიკაციების კომისიასთან მჭიდრო თანამშრომლობის საფუძველზე, მომზადდა პროექტის განხორციელების უფლებამოსილების შესახებ ხელშეკრულება, სადაც დეტალურად გაიწერა პროექტ “Log in Georgia”-ს მხარეების ურთიერთობებისა და ვალდებულებების დარეგულირების მეთოდოლოგია

პროექტის ოპერაციების სახელმძღვანელო

მომზადდა პროექტის ოპერაციების სახელმძღვანელო, რომელიც აღწერს პროექტის განხორციელების გზებსა და საშუალებებს, - ასევე, განსაზღვრავს ოუფენ ნეტის, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და კომუნიკაციების კომისიის როლს პროექტის სხვადასხვა კომპონენტის განხორციელებაში

ადამიანური რესურსები

“Log in Georgia”-ს პროექტის ფარგლებში ჩატარდა კონკურსი და გამარჯვებული კანდიდატები დასაქმდნენ შესყიდვებისა (მსოფლიო ბანკის შესყიდვების გამოცდილებით) და გარემოსა და სოციალური ზეგავლენის სპეციალისტების პოზიციებზე

ეფექტური პროექტი

პროექტი გახდა ეფექტური და დაიწყო მუშაობა კომპონენტების განხორციელებაზე

საპილოტე პროექტი

ოზურგეთი

ოზურგეთის საპილოტე პროექტი, რომელიც დასრულების შემდეგ, ჯამში შეადგენს 140 კმ ოპტიკურ-ბოჭკოვან ინფრასტრუქტურას, 28 576 მოსახლისთვის ქმნის შესაძლებლობას ისარგებლოს ისეთი პროგრამებით და სერვისებით როგორებიცაა - ელექტრონული ჯანდაცვა, ელექტრონული განათლება, ელექტრონული მმართველობა, ელექტრონული კომერცია და სხვა თანამედროვე სერვისები.

ეს არის ახალი შესაძლებლობები - თითოეულმა ოჯახმა მიიღოს 100 მბ/წმ, ხოლო დაწესებულებებმა - 1გბ/წმ სიჩქარის ინტერნეტი.

კერძო სექტორისთვის იქმნება შესაძლებლობა - განავითარონ საკუთარი ბიზნესი. აშენებული ფართოზოლოვანი ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ნებისმიერი ოპერატორისთვის თავისუფალი, შეუზღუდავი და არადისკრიმინაციული პირობებით ღია დაშვების მომსახურების მიწოდებას.

საინფორმაციო შეხვედრები ოზურგეთის მუნიციპალიტეტში

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში ეტაპობრივად ეწყობოდა საინფორმაციო შეხვედრები, მათ შორის მოსახლეობასთან, ადგილობრივ ხელისუფლებასა და რეგიონში წარმოდგენილ სატელეკომუნიკაციო ოპერატორებთან.

საპილოტე ქსელის მშენებლობა

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა, ნათია თურნავამ, პარლამენტის თავმჯდომარემ, არჩილ თალაკვაძემ, გურიის სახელმწიფო რწმუნებულმა ზურაბ ნასარაიამ, ეკონომიკის მინისტრის მოადგილემ და აკაკი საღირაშვილმა სოფელ ლიხაურში ოპტიკურ-ბოჭკოვანი ქსელის მშენებლობის მიმდინარე სამუშაოები დაათვალიერეს, გაკეთდა შეფასებები და განხილული იქნა სამომავლო გეგმები.

ციფრული თანასწორობა

- თანაბარი შესაძლებლობები ქალაქისა და სოფლისთვის
- წვდომა ყველა ელექტრონულ სერვისზე და საკუთარი როლი ციფრულ ეკონომიკაში
- თანასწორობა ქვეყნის ფარგლებში და ქვეყნებს შორის

ყველას აქვს ინტერნეტზე წვდომისა და ინტერნეტით თავისუფლად სარგებლობის უფლება

საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 17, პუნქტი 4

ინტერნეტთან წვდომის უფლებას მსოფლიო განიხილავს არა მხოლოდ ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების, არამედ ადამიანის უფლებებისა და ღირებულებების ერთ-ერთ განუყოფელ ნაწილად

ციფრული უთანასწორობა ერთ-ერთი ბარიერია, რომელიც ხელს უშლის სოფლად მცხოვრებ მოსახლეობას მიიღოს ის დიდი სარგებელი, რასაც გლობალურ ქსელთან, ინტერნეტთან წვდომა იძლევა

ამ უთანასწორობის დაძლევის მიზნით, ქვეყანამ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა და ინტერნეტზე წვდომისა და ინტერნეტით თავისუფლად სარგებლობის უფლება ქართველი ხალხისთვის კონსტიტუციურ უფლებად აქცია

ღირებულებები

„

მე ვარ ლიხაურის მკვიდრი რამაზ ჭელიძე, - ამ პროექტში დასაქმებული ადგილობრივი. ჩვენთვის სასიხარულოა, რომ ჩვენს მუნიციპალიტეტში ასეთი მნიშვნელოვანი პროექტი ხორციელდება. ინტერესი და თანადგომა განსაკუთრებულია, როგორც მოსახლეობის, ასევე დასაქმებულების მხრიდან, რადგან იციან, რომ ეს მომავლის პროექტია. ჩვენთვის ეს არ არის მხოლოდ შექმნილი სამუშაო ადგილები, - ეს არის ბევრად მეტი.

„

70% ადგილობრივი დასაქმებული

კონტრაქტორი კომპანიის მიერ მშენებლობაზე დასაქმებულთა შორის 70% არის ადგილობრივი

პანდემია და შრომის უსაფრთხოება

სამშენებლო სამუშაოები მიმდინარეობდა უსაფრთხოების ნორმების დაცვით და შეუფერხებლად

გეგმა-გრაფიკი

პანდემიის გამოწვევების მიუხედავად, მშენებლობა მიმდინარეობდა გეგმა-გრაფიკის შესაბამისად

ინტერნეტის როლი თანამედროვე განათლებაში

04 — ახალი შესაძლებლობები განათლებასა და განვითარებაში

საჯარო ლექციები, სემინარები, ონლაინ კურსები - მოსახერხებელი და ხელსაყრელი პირობებით

03 — დაზოგილი დრო და ბიუჯეტი

ელექტრონული ბიბლიოთეკები - წიგნებთან ურთიერთობის ყველაზე ხელმისაწვდომი საშუალება

02 — შეუზღუდავი მასშტაბები და კავშირი მსოფლიოსთან

ელექტრონული საგანმანათლებლო პლატფორმების გამოყენება - ქვეყნის მასშტაბით და ფარგლებს გარეთ

01 — შესაძლებლობები ყველასთვის

გარემო, სადაც ასაკობრივი შეზღუდვა არ არსებობს

დღეს, ინტერნეტს გადამწყვეტი როლი აქვს ცოდნის გავრცელებაში. ტექნოლოგიურმა პროგრესმა და, მასთან ერთად, ცოდნის მიღების ალტერნატიულმა წყაროებმა ახალი შესაძლებლობები შექმნა!

საერთაშორისო და ადგილობრივი მასშტაბებით, უფრო და უფრო პოპულარული ხდება თვითგანათლებისა თუ კომბინირებული სწავლების დისტანციური ფორმები, რომელიც ინფორმაციის უწყვეტად მიღების საშუალებას იძლევა!

ინტერნეტსივრცეში არ არსებობს ასაკობრივი ზღვარი და შეზღუდვები, - ყოველთვის შეგიძლია, დაიწყო, ისწავლო და განვითარდე!

მშენებარე ფართოზოლოვანი ინფრასტრუქტურის ქსელი ოზურგეთის მუნიციპალიტეტში

მაგისტრალის სიგრძე - 140 კმ
49 დასახლებული პუნქტი
28 500 მოსახლე
8500 ოჯახი

2 წუთში ჩატეული
რამდენიმეთვიანი სამუშაო

ონლაინ სწავლების
თანამედროვე გამოწვევები

ღირებულებები, რომლებსაც
ვქმნით ერთად

ოუფენ ნეტი

ტელ: 032 240 01 78

ელ-ფოსტა: office@opennet.ge

www.opennet.ge